


# ანტონ პიკველი, ვინც ბრძაბაბაბაბაბა და ეკთრი კრევენტიპარი



ელენე ბაბუნაშვილი

საქართველოს მწიგნობრობის, სწავლების  
და კულტურის მინისტრის განკარგულებაში

# ლიტერატურა

21 აპრილი,  
პარასკევი

1970

№ 34 (1723)

გამომცემის  
80-40 წელი

საქართველო  
„ЛИТЕРАТУРА“

გაზეთი „ლიტერატურული საქართველოს“ ა. წ. 20 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ა. ფოცხიშვილის სტატია „ანტონი პირველი და მისი გრამატიკა თანამედროვე ენათმეცნიერების თვალთ“.

სტატიის ავტორს მიზნად დაუსახაფს აღადგინოს საზოგადოებრიობის თვალში ცნობილი ქართველი მოღვაწისა და განმანათლებლის ანტონ პირველის დაცემული ავტორიტეტი და შეაფასოს მისი გრამატიკული შეხედულებანი თანამედროვე ენათმეცნიერების თვალსაზრისით.

მიზანი უთუოდ კეთილშობილი და მისასალმებელია, მით უმეტეს, რომ ავტორი მართალია, როცა ამტკიცებს, რომ ანტონ პირველს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიის წინაშე და რომ ანტონის ეს ღვაწლი არ არის ჯეროვნად დაფასებული, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქმეში ჩაუხედავი“ ხალხისა და „დილეტანტების“ მიერ, პირველ ყოვლისა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ანტონ პირველი, როგორც ჩანს, მცდარი და შეუმოწმებელი გადმოცემების საფუძველზე ვეფხისტყაოსნის დამწველად მიჩნეული.

კარგი იქნებოდა, სტატიის ავტორს თავისი კვლევა-ძიება ამ მიმართულე-

ბით წარემართა და დაწვერილებითა და  
საფუძველიანად ერგებებინა, რატომ  
აქვს წაყენებული ანტონს ასეთი ბრალ-  
დება და რატომ არ შეიძლება ვერწმუ-  
ნით ამ ბრალდების სისწორეს, თით-  
ქმის დარწმუნებით შეიძლება იმის  
თქმა, რომ ამის ჩვენება შესაძლებე-  
ლიც იქნებოდა, საინტერესოდ, სასა-  
რვებლოც და ამასთან, ვფიქრობთ, საე-

# ანტონ პირ და ე რ ი

სებით სავმარისოდ ანტონის რეაბი-  
ლიტაციისათვის.

ნაგრამ სტატიის ივტორის აზრით,  
ანტონის დეაწლისა და დამსახურე-

სებით სავმარისიოც ანტონის რეაბი-  
ლიტაციისათვის.

მაგრამ სტატის ავტორის აზრით, ანტონის ღვაწლისა და დამსახურე-  
ბის დაუფასებლობის მიზეზით ისიც არი-  
რომ ანტონი „ქართული ენის განვითარე-  
ბის შემფერხებელია შიგნეული“  
და „მას მიაწერენ... სამი სტილის  
თეორიის ავტორობას“.

ჩვენი აზრით, ასეთი განცხადება  
იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ  
ავტორი შემდეგ მსჯელობაში დააბი-  
რებდა იმის დამტკიცებას, რომ ანტონ-  
ნი არც ქართული ენის განვითარების  
შემფერხებელია და არც სამი სტილის  
თეორიის ავტორი, რომ ერთი და მე-  
ორეც ანტონის მოღვაწეობის ზერელე  
შემფასებელთა მონაგონია.

არის კი ასე?

მოკუსმინათ ამის თაობაზე ავტორს.

„მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია, ან-  
ტონი მეტად მძიმე ენით წერდა, ეს მი-  
სი დამახასიათებელი მანკი იყო... რა-  
საკვირველია, ამ მძიმე ენამ ავნო ქარ-  
თული სალიტერატურო ენის გამარტი-  
ვების საქმესაც. ანტონის უზარმაზარი  
ავტორიტეტის გამო, ათეული წლების  
განმავლობაში ბაძავდა მას ცოტა თუ  
ბევრად განათლებული ქართველი და  
„შედგად ეღებულობდით დამძიმებულ  
სალიტერატურო ქართულს“ (ბაზი  
ჩვენი. ე. ბ.).

არა გვეგონია, ეს ციტატა უარყოფ-  
დეს დებულებას, რომ ანტონი ჭარ-  
თული ენის განვითარების შემფერხე-  
ბელია. ამას, როგორც ჩანს, თვითონ  
ავტორიც გრძნობს და რომ არავინ  
შეედავოს, თავს ასე იცავს: „თუ ამით  
(ე. ი. ანტონისთვის დამახასიათებ-  
ლი მჭიმე ენით. ე. ბ.) ვინმე დაზარა-  
ლდა, უპირველესად თვითონ ანტონი  
(ენის სიბნელის გამო მისი ბევრი  
ბრწყინვალე აზრი დღესაც უყურად-  
ღებოდ თვლებს მის უამრავ ხელნა-  
წერში)“.

როგორც იტყვიან, კომენტარო-ბედ-  
შეტია.

რაც შეეხება სამი სტილის თეორი-  
ას, ავტორის აზრით, „იგი ანტონის  
მოგონილი არ არის: მას სათავე ანტი-  
კური ხანის რიტორიკაში უდევს.

ჩვენში კი მისა ერთი პირველი პრო-  
მაგანდისტი იოანე პეტრიწი იყო, რომ-  
მლის გავლენას ანტონი უთუოდ განი-  
ცდიდა“.

და მერე განა ოდესმე ვინმეს  
უთქვამს, რომ ნაირსტილოვანი ენის  
თეორია ანტონმა მოიგონაო? სათანა-  
დო სპეციალურ ლიტერატურაში ამის  
მსგავსი მოსაზრება არსად ვხედავ-

ბა. ვფიქრობთ, არავისთვის არ წარ-  
მოადგენს საიდუმლოს ის ფაქტი, რომ  
1. სამი სტილის თეორია დიდი ხანია  
გავრცელებული იყო აღმოსავლეთისა  
და დასავლეთის ბევრ ქვეყანაში და  
მათ შორის საქართველოსთან ისე  
მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყნებშიც,  
როგორც იყო რუსეთი და სომხეთი  
და რომ 2. ნაირსტილოვანი ლიტერა-  
ტურული ენის გამოყენების შემთხვე-  
ვები იყო ანტონის წინააღმდეგელ  
ქართულ მწერლობაშიც. საქმე ეხება  
მხოლოდ იმას, რომ ანტონმა გაიზიარა  
იმ დროისათვის საკმაოდ მოარულ-  
ლო ეს თეორია და აუცილებლად მიი-  
ჩნია სალიტერატურო ენაში სამი გა-  
ნსხვავებული სტილით წერის საჭიროე-  
ბა. ამის უარყოფა კი, ვფიქრობთ, შე-  
უძლებელია.

ჩვენ ვერ შევედგებით და არც ვაპი-  
რებთ შევედგათ სტატიის ავტორს ამა-  
ში, რომ ანტონის გრამატიკა ძირითა-  
დად სწორად ითვალისწინებს ქართული  
ენის გრამატიკულ თავისებურებებს,  
ამაში ვჭვი არავის ეპარება, მაგრამ  
გაოცებას იწვევს ერთი გარემოება:  
ავტორი თავის მოვალეობად თვლის  
დაასახელოს სტატიაში ანტონის და-  
მსახურების „ბევრი მხარის“ გამშუქე-  
ბელნი (კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ა.  
დრანგიშვილი და სხვ.) მეცნიერების  
სხვადასხვა დარგში. მაგრამ „ავიწ-  
ყდება ანტონის გრამატიკული მემკვი-  
დრეობის შემფასებელი მეცნიერების,  
თუნდაც: ალ. ცაგარლის, ივ. ჯავახი-  
შვილის, ილ. აბულაძის, არნ. ჩიქობა-  
ვას, ი. შანიძის დასახელება. ვფიქ-  
რობთ, მას, როგორც სპეციალისტს,  
არ ეპატიება საქმის ისე წარმოდგენა,  
თითქოს ანტონის გრამატიკული ნააზ-  
რების დადებითი მხარეები პირველად  
მას, — ა. ფოცხიშვილს — შეეჩინოს

და ცხადეყო.

ახლა ანტონის იმ დებულებების შესახებ, რომლებიც ა. ფოცხიშვილმა „ანტონის გრამატიკის გულდასმით“ შესწავლის შედეგად გამოტყო და, რომლებიც თურმე „თითქმის მთელი საუკუნენახევრით“ უსწრებენ წინ „თანამედროვე-ენათმეცნიერების — სტრუქტურალიზმის“ ქვაკუთხედად მიჩნეულ თეორიებს.

ცნობილია, რომ თანამედროვე ენათმეცნიერება თავის საწყისებს ეძებს არა მარტო ისტორიულ-შეღარებით

ენათმეცნიერებაში, არამედ ე. წ. წი-  
ნარემეცნიერულ გრამატიკულ აზრო-  
ვნებაშიც. უფველეს გრამატიკულ ლი-  
ტერატურაში ენათმეცნიერების ის-  
ტორიკოსები ზშირად აწყდებიან იდეე-  
ბსა და ცნებებს, რომლებიც ეხმაურე-  
ბიან ლინგვისტური მეცნიერების უან-  
ლეს თეორიებს, ამიტომ თავისთავად  
ავტორის ეს დებულება, სინამდვილე-

საც რომ შეეფარებოდეს, არც ახალი  
იქნებოდა და არც გასაყვირი, შავრამ  
ჯერ ერთი, შეიძლება იმის თქმა, რომ  
არც ერთი ზოგადი დებულება, უფრო  
შეტიც, არც ერთი დეფინიცია ანტონ-  
ნის გრამატიკაში ვერ იქნება და არც  
არის სინამდვილეში ანტონის საუთ-  
რება, რადგანაც, სხვა რომ არა იყოს  
რა, როგორც სტატიის ავტორიც იძუ-  
ლებულია იღიაროს, ანტონს „საგან-  
გებო ენათმეცნიერული განათლება“  
არ მიუღია და თავისი გრამატიკის და-  
წერისას იძულებული იყო სხვა ენე-  
ბის გრამატიკებით ესარგებლა. აქა-  
ის დებულებაც, რომელიც ი. ფოცხი-  
შვილის აზრით, ანტონს ფერდინანდ  
დე-სოსიურის წინამორბედად ხდის,  
ანტონს ბაუშაისტერის ლოგიკიდან  
იღვია!

მეორეცა და, ეფიქრობთ, არ შეიძ-  
ნის

მეორეცაა და, ვფიქრობთ, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ „ნიშნის სოსიურისეული ელემენტები მხოლოდ ბაუმაისტერის ლოგიკაში ყოფილა მოცემული“ (ე. ი., არსად სხვაგან), და რომ „ანტონი იყო პირველი ენათმეცნიერი, რომლის გრამატიკაშიც ასახვა ჰპოვა“ ამ დებულებაში ბოლოსა და ბოლოს, ჯერ კიდევ ახალ ერამდე იყო კამათი იმის შესახებ, ნებისმიერია ჩვენს მიერ საგნებისათვის შერქმეული სახელები, თუ ისინი საგანს შინაგანი თვისებებით განსაზღვრავენ.

ამ კონტექსტში ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანტონის ავტორობას თვალსაზრისით არავითარი განსხვავება არ არის სამი სტილის თეორიასა და ენობრივი ნიშნის ნებისმიერობის თეორიას შორის: არც ერთია საკუთრივ ანტონისა და არც მეორე, მაშინ როდესაც სტატიის ავტორის სუბიექტურია ინტერპრეტაციის წყალობით მდგომარეობა სხვაგვარად წარმოგვიდგება: ერთი მხრივ, ანტონს „მიაწერენ“ სამი სტილის თეორიის ავტორობას, მეორე მხრით, კი, ანტონის გრამატიკაში ბაუმაისტერის ლოგიკიდან ნასესხები დებულებით ანტონი თურმე „საუკუნუნაბევრით“ წინ უსწრებს სტრუქტურალიზმს!

მაგრამ სტატიის ავტორი არც ამით კმაყოფილდება და ამტკიცებს, რომ ანტონი სტრუქტურალიზმის მეორე

# ანტონ პირვი

(დახასრული)

წარმომადგენლის, კერძოდ, პრალის სკოლის ერთ-ერთი მამამთავრის ნ. ტრუბეცკოვის წინამორბედიც არის „ფონეში თეორიის“ ხაზით. ამის საფუძველს ავტორს აძლევს ანტონის გრამატიკის ორივე რედაქციაში წარმომადგენილი გრამატიკის შესასწავლო უმცირესი ერთეულის „წიგნის“ განსაზღვრა.

მივდივართ ავტორს, რომელიც იწყებს ანტონის მსჯელობით გრამატიკის შესასწავლო ობიექტების შესახებ. იმ, ეს ციტატაც ანტონის გრამატიკიდან:

„ნივთი უკვე ლრამატიკისანი არიან თქმაობანი კაცობრივნი, ხოლო თქმაობა უკვე კაცობრივი ორთა სახეთა შიერ განიყოფების, ე. ი., საუბრისა მიმართ და წერისა. ხოლო წარმოსდგებიან ესენი მრავალთა სიტყვათაგან და სიტყვანი მრავალთა ლექსთაგან და ლექსნი მარცვალთაგან და ეგსახელ მარცვალნი — წიგნთაგან ე. ი. — ასკვნის ა. ფონეშიშვილი, — გრამატიკის საგანი ყოფილა ადამიანის ენა ზოგადად, რომელიც იყოფა სამეტყველოდ (სასაუბროდ) და წერილად. ენა შედგება წინადადებებისაგან. წინადადება — სიტყვებისაგან; სიტყვები — მარცვალთაგან; მარცვლები — წიგნთაგან.“

ავტორმა, როგორც ჩანს, წინასწარ განზრახვით არ თარგმნა ტერმინი „წიგნი“, მაშინ როდესაც, ვფიქრობთ, მარტო ამ ნაწყვირის მიხედვითაც შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ანტონის „წიგნი“ თანამედროვე გაგებით ან ბგერაა, ან ისე და ავტორს რომ ანტონის გრამატიკის სათანადო წყაროებში ჩა-

გაზეთი გამოდის

პარასკევით

# ლი. ვისი პრამ

ხედვის შესაძლებლობა ქონოდა, მაშინ მისთვის სრულიად აშკარა გახდებოდა, რომ „წიგნი“ (ბერძნ. „გრამა“, სომხ. „ვირ“) თანამედროვე გაგებით ასოს მნიშვნელობითაა ნახპარი, თუმცა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ანტონის ისევე, როგორც მის ყველა თანამედროვე გრამატიკოსს საერთოდ, უჭირს ბგერისა და ასოს ერთმანეთისაგან გამიჯვნა და ამის გამო მისი გრამატიკის ორივე რედაქციაში ტერმინი „წიგნი“ ხშირად ბგერის მნიშვნელობითაც იხმარება.

მაგრამ სტატიის ავტორს „წიგნის“ ასეთი ორდინარული მნიშვნელობა ხელს არ აძლევს. მას უნდა დაამტკიცოს, რომ „წიგნი“ ანტონისთვის მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ერთეულია და ამის შემდეგ მთლიან მსჯელობა განსაკუთრებით ბუნდოვანია და წინააღმდეგობრივი ხდება. ასე, მაგალითად, მისი აზრით, ტერმინი „ხმა“ წინადადებაში „ეგ სახედ ასონი არიან დასაბამნი და მაწარმოენი ხმათანი“ (11, 62) „მოგონების“ (ცნების) მნიშვნელობის გადმომცენია“ უა თბიტომ „ასო“ არის უმცირესი ნაწილი მნიშვნელობისა (ცნებისა). ერთი სიტყვით, ასვენის ავტორი, „ასო“ სუბსტანციაა; სუბსტანციაა ბგერისა. როგორც უმცირესი ნაწილი აგრეთვე უმცირესი ნაწილისა“.

ხოლო, რადგანაც, ანტონის თქმით, „წიგნი არს ღრამში რაიმე, მღგოებუ-ლი მნიშვნელად ასოსა (1. 83. 101) (ე. ი. , ასო არის ბგერის აღმნიშვნელი ნიშანი. ე. ბ.). აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისევე, როგორც „წიგნი“ — ძირითადად ასო,

ლიტერატურა

კალაქიძის მიხაბრთი

# ანტონი და პრთი

ანტონთან ბგერის მნიშვნელობითაც იხმარება, „ასოც“ არაიშვიათად ბგერის პარალელურად ასოსაც აღნიშნავს), ამიტომ ავტორის აზრით, „წიგნის“ განსაზღვრის უფრო ნათელი სურათი“ ასეთია: „წიგნი არის ღრამი, ნავეეთი რაიმე მნიშვნელოვანი ცნების (მნიშვნელობის) უმცირესი ნაწილისა“. ცოტა უფრო ქვემოთ ავტორი ამბობს, რომ სიტყვა „მნიშვნელოვანი“ ამ განსაზღვრაში უდრის „მნიშვნელობის მქონეს“.

დავიწყეთ იმით, რომ 1. „ხმა“ ანტონის გრამატიკაში არსად არ ნიშნავს არც ცნებასა და არც მნიშვნელობას და ამის საბუთად მისი გრამატიკიდან მრავლისაგან მრავალი მაგალითის მოშველიება შეიძლება, თუნდაც:

„მარცვალი არს ხმა რაიმე, რომელი ერთითა აღმოთბრვითა გამოიღების პირისაგან კაცისა“ (1, 83, 102) ან: „ხმანი რომელნიმე თავსა შორის თვისსა უნიშნებელ“ (1, 84), (ე. ი. დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი, იკულისხმება აფიქსები. ე. ბ.) და ა. შ. 2. არც „მნიშვნელობის მქონე“ გადმოიცემა ანტონთან „მნიშვნელ“ სიტყვით. ამისთვის ის ხმარობს ტერმინს „ნიშნოვანი“. მაგ.: მარცვალი, იქნება ის „ანუ ნიშნოვანი, ანუ უნიშნო“ (1, 102). თუ ერთი ამოსუნთქვით წარმოითქმის, მაინც მარცვალიო. ამბობს ანტონი, „მნიშვნელი || დამნიშვნელი“ ეი მისთან ყოველთვის „აღმნიშვნელს“ უდრის. მაგალითად, სქესის შესახებ მსჯელობისას ანტონი წერს:

---

ლი საპარტოველო

ბიბლიისი, მაჩაბლის ქ. № 18.

# ი კოპენბაგი

„ვითარ უკეთუ დანიშნული იგი იყოს თუ ბუნებით მამრ, დამნიშვნელი იგი სახელი არს მამრობითი, თუ სადაძე იყოს მდედრ, არის მდედრობითი...“ (1, 108. საზი ჩვენია. ე. ბ.). ტერმინი „დანიშნული“ ამ ნაწყვეტში თანამედროვე ტერმინოლოგიით უდრის „ალსანიშნა“, „დამნიშვნელი“ კი — „ალმნიშვნელს“.

ამრიგად, წინააღმდეგ სტატიის ავტორის მტკიცებისა, „წიგნი“ ანტონთან არ არის „მნიშვნელობის განმასხვავებელი უმცირესი ერთეული ენისა“ და იგი არ „გადმოგვცემს ცნების (მნიშვნელობის) უმცირეს ერთეულს, „ასოს (თუმცა პრაქტის სკოლასთან და, სახელდობრ, ნ. ტრუბეცკოვსთან ანტონის დაკავშირება უამისოდაც, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელი იქნებოდა). ავტორი „ამაოდ დაშვრა, საწუბ არს ესე“: ანტონის ისედაც მძიმე და გაუგებარ ენასა და სტილს ახსნა და გამარტივება უნდა და არა დაბნელება და გართულება.

დასასრულ ვიმეორებთ, რომ დღემდე არც ერთ მეცლევარს, რომელსაც კი ანტონის შრომებთან საქმე ჰქონია, აზრად არ მოსვლია, ერთი მხრით, უარეყო ის დიდი ღვაწლი და დამსახურება რომელიც მას მიუძღვის ქართული გრამატიკული აზროვნების წინაშე და, მეორე მხრით, მიეწერა მისთვის ის, რისაც ანტონი ვერ ვააკეთებდა მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონის პირობებში.